სახალხო გაზეთი

№ 561 ხუთშაბათი, 30 მარტი, 1912 წ. № 561

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ზუბალაშვილების სახ. სახლი

ხუთშაბათს, 30 მარტს 1912 წ. სახალხო სახლთან არსებულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:

1. **გამცემი** დრ. 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

2. **მათიკო** მე-3-მე მოქ. ავქ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გამრეკელი-ტორელი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ბეჟანოვი, ამბრიევი, ვ. ტანელი, ბ-ნნი დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, ა ნარი, ს. პეპანოვი, ა. სანდალა, სვანელი, ფრონის-პირელი, კ. ხახანაშვილი, ქიაურელი, ნ. ჭამკვეტაძე, ალ. შანშიევი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-ან 2-ის და 6-ან საღ. 8 ს-მდე. ადგილების ფასი 5 კ-დან 50 კ-მდე. დასაწყისი საღ. 8 ს. რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** მორიგი წევრი **ს. რომანიშვილი-დგებუაძისა**

ადმინისტრატორი **ს. ჯულელი.** (1.1174.1)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს.

საუზმე—30 კ. ✦ **სადილი.** ✦ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.

(თ.—113—17)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის“,

25 ცალი 15 კ. და 10 ცალი—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა **„ძმანი სეილანოვები“.**

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.8)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11¹/₂—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12¹/₂—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგ.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11¹/₂—12¹/₂. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიაო ქალ. სნეულებ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვ. ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11¹/₂—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12¹/₂—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10¹/₂—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2¹/₂—3.
თვალ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2¹/₂.
კან. ვენ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1¹/₂.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—303)

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, კორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსნიევის ქ., № 7). ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის):

Тифлисъ. Коргановская № 20, собст. д. Д ру Мих. Гедевани. (3—1153—3)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

გრდემლი

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.43)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი საყმაწვილო ნათარგმნი წიგნები:

ბუს თავგადასავალი, დასურათ.	20 კ.
გულივერის მოგზაურობა.	„ . 30 „
დედა, ანდერსენისა,	„ . 8 „
დონ-კიხოტი, დ. ყ-ნისა,	„ . 25 „
ემმა ჰავაელი პატარა ქალი.	„ . 15 „
ზანგის სამკვიდრო	„ . 10 „
ზანგი და თეთრი	„ . 15 „
ზღაპრები ანდერსენისა წ. II	„ . 10 „
კეთილი ძაღლი	„ . 20 „
ლედი-ჯენ	„ . 35 „
მოწაფის დღიური	„ . 80 „
მათიკო და მისი გიშერა	„ . 5 „
მეფე ლამზა	„ . 15 „
მამის ერთგული	„ . 5 „
მტრედი-შმიდტისა.	„ . 10 „
მეუფება წყვდიადისა, ტოლსტ.	40 „
ნელო და პატრაში	„ . 10 „
პაწია და ბუნგლია.	„ . 30 „
რობინზონ კრუზე.	„ . 30 „
სვიის გვირგვინი	„ . 15 „
ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი.	„ . 60 „
ტომის თავგადასავალი.	„ . 50 „
უსახლ-კარო. ნათ. ხუსკ.	„ . 50 „
ყვავილთა შორის.	„ . 45 „
ხუთი ამბავი.	„ . 15 „
ხუმარა სპილოები.	„ . 20 „
ჯიანეტა.	„ . 30 „

ახლად მიღებული წიგნები

ბრძოლა საქ. მოსასპობად და საქ. შესაერთებლად ანუ გ. საააკაძე და მისი დრო	1—
ლექსები და სცენები. ახნაზაროვისა	60 კ.
ღვთის წყალობა. საყმ. მოთხრობა გ. წერეთლისა	20 „
პატრი მიხეილ თამარაშვილი. ზ. ჭიჭ.	10 „
ამხანაგი დრამა 4 მოქ.	25 „
სრული თხუზ. ე. გაბაშვილისა	1—20 „

ზე უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—15)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—187)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (не далеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.124)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9¹/₂ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. მოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ¹/₂.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს,

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606 -ი

(წლ. 1090 237)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 268)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 132)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, კორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—19).

ექიმი კბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179,3)

ექიმი პ. **არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.79).

ექიმი შ. ა. **მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6¹/₂ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ე. ი. **მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—128).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. **ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—58)

ექიმი ე. **ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—66.

ექიმი ვ. **მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ალ. **სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი ი. ი. **ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5¹/₂ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—3)

ექიმი ქ. ქუთაისისა. **იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.—1129—27).

ექიმი ა. ნ. **დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ 29 თებერვალს „ისტორიისა და სიძველეთა ადესის საიმპერატორო საზოგადოებაში“ ამ საზოგადოების წევრმა **ს. ლ. ავალიანმა** წაიკითხა მოხსენება: „გრაფი მ. ს. ვორონცოვი და გლეხთა საკითხი“. საზოგადოების კრებამ დაადგინა: რადგანაც ზემოხსენებული მოხსენება ნაწილია იმ დიდ და ფრიად საყურადღებო შრომისა, რომელიც ს. ლ. ავალიანს დაუწერია და რადგანაც ამ ფრიად საგულისხმო შრომის შესავსებად ავტორისთვის საჭიროა გაეცნოს ნოვოროსიისა და ბესარაბიის საგუბერნატოროს არქივში მყოფ მასალებს, საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრას ადესის ქალაქის უფროსის წინაშე, რათა მან ნება დართოს ბ-ნ ს. ლ. ავალიანს ზემოხსენებულ არქივში მუშაობისა გრ. მ. ს. ვორონცოვზე არსებულ მასალათა შესასწავლად. ხოლო წაკითხულ მოხსენებისათვის ბ-ნ ავალიანს მადლობა გამოეცხადოს.

✦ 28 მარტს საღამოს 8 საათზე **საბჭოს ტეხნიკურ კომისიის კრებამ** განიხილა ხელშეკრულობის გეგმა „ჟირო და ლუშერის“ ფირმის ქალაქის ელექტრონით განათებისა. ამ კრების ფირმის წარმომადგენელი ბ-ნი ა. გ. ჯაბადარიც დაესწრო, რომელიც შესაფერ ახსნას აძლევდა კომისიის წევრთ. კრებამ წესდების 48 მუხლიდან მხოლოდ 27 მუხლის განხილვა მოასწრო 11 ნახ. საათამდე და დანარჩენ მუხლების განხილვა მომავალ სამშაბათისათვის გადასდო.

✦ **ტფილისის საოლქო სასამართლომ** დაბეჭდა და გამოფინა იმ პირთა სია, რომელთაც უფლება აქვთ ტფილისის საოლქო სასამართლოს მიდამოში (რაიონში) საქმეთა წარმოებისა. სულ 222 ვექილია. მათ შორის ნაფიცი ვექილი—107, მათი თანაშემწე—88, კერძო ვექილი—27. ქართველები შეადგენენ დაახლოვებით 23¹/₃%-ს. სახელდობრ: 28 ქართველი ნაფიცი ვექილია, 18—მისი თანაშემწე, 7—კერძო ვექილი.

✦ 1 აპრილს სახალხო სახლში **მ. გ. ჯანაშვილი** წაიკითხავს ლექციას: „ქართული ისტორია და მისი წყაროები“.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობის მკვიდრთა ჯანმრთელობის კომისიას თათბირი ჰქონდა, **ვერაზე ამბულატორიის** გახსნის თაობაზე. კრებამ ვერაზე ახალ ამბულატორიის გახსნა შეუძლებლადა სცნო, ხოლო დაადგინა: ვერაზე გადაიტანონ ნაძალადევისა ან დიდუბის ამბულატორია.

✦ ნაალდგომევს **მცხეთის ორკლასიან სასწავლებელთან** აგებულ შენობაში იხსნება სახელოსნო განყოფილება, სადაც **ასწავლიან ძერწვას.** მასწავლებლად მოწვეულია სტროგანოვის სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებლის ხელოსანი ბ-ნი პროშინი. პირველ ხანად მიიღებენ მხოლოდ 20 მოწაფეს, როგორც ადგილობრივ სკოლაში კურს დამთავრებულს, ისე გარეშე სოფლებიდანაც.

✦ ქართველთა შორის წ. კ. გამავრც. საზოგადოების **ვერის ბიბლიოთეკა სამკითხველო** გადავიდა ახალ ბინაზე, არამიანცის ქარვასლაში, ოლგის ქუჩა № 29.

✦ როგორც გავიგეთ, ამ ჟამად იბეჭდება და მალე გამოვა რუსულად ჩვენი თანამემამულის **სიმონ ავალიანის** ისტორიულ შრომა **„გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“,** შრომა ვრცელია და დამყარებულია უმთავრესად კავკასიის სანამესტნიკოს არქივის მასალებზე.

ბაქო.

✦ კუნძულ ჩელიკენზე ჩამოხტა **სამხედრო მინისტრი ვ. ა. სუხომლინოვი.** მინისტრი კრასნოვოდსკში მიემგზავრება.

✦ მირზოევმა პოლიციას განუცხადა: ჩემმა შვილმა მამჩემს **ყალბის ჩეკით** საკრედიტო საზოგადოებიდან ორასი თუმანი გამოიტანა და მიიმალაო.

✦ თეირანში მიმავალი **ინგლისის ელჩი** დროებით ბაქოში ჩამოხტა.

✦ ბაქოს საოლქო სასამართლო, რომელმაც **ტაგიევს** სასჯელი გადაუწყვიტა, ტაგიევს დამცველ დეპუტატ მაკლაკოვს პასუხის გებაში აძლევს. გაზ. „რეჩ“-ში მოთავსებულ წერილის გამო.

გორი

✦ 26 მარტს „ახალ საყდარში“ სომხის საზოგადოებამ გადიხადა პანაშვიდი განსვენებულ **გაბრიელ სუნდუკიანცის** სულის მოსახსენებლად. სიტყვა წარმოსთქვა: ბ. ქერეჟევმა და მასწავლებელმა გრ. ბაბალოვმა. უკანასკნელმა მოკლეთ და გასაგები ენით გააცნო საზოგადოებას განსვენებულის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე. პანაშვიდს ბლომა ხალხი დაესწრო, მომეტებულად—მდაბიო. აღსანიშნავია, რომ არ იყო მასწავლებლობა, არც სომხისა და არც ქართველისა. მომავალ კვირას, ქალაქის თვითმართველობა აპირებს პანაშვიდის გადახდას განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყველა წმიდის ეკლესიაში.

თელავი

◆ შეიპყრეს თელავის მცხოვრები იოსებ აპკაროვი და ს. იყალთოელი მიხეილ ძამულოვი. აპკაროვი გამოტყდა, რომ ყაჩაღების სახელით **მუქარის წერილები** უწერია ადგილობრივ მკვიდრთათვის და ფულები მოუთხოვნია.

◆ ს. ვარდისუბნის ასწვრივ, ცივგომბორის მთაში თოვლ ქვეშ იპოვეს უცნობ დედაკაცის გათოშილი გვამი. როგორც სჩანს იგი რამდენიმე თვეა რაც გათოშილა.

სოფლად

ზემო ხვედურეთის (გორის მაზრა) ეკლესიაში აღდგომა ღამეს მოჰკლეს თ-დი ციციანოვი.

◆ თიანეთის მაზრის სოფელ გუდაურთასა და ველელებში **შავი ჭირი** გაჩნდა.

თათბირი ამერიკულ ვაზის შესახებ თელავში

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება 22 აპრილს იწვევს ქ. თელავში ამერიკულ ვაზის კულტურის მცოდნე პირთა თათბირს. მიზნადა აქვს გამოარკვიოს ღონისძიებანი, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ დღეს თუ არა, ახლო მომავალში მაინც, გავიგოთ ამერიკულ ვაზის რომელი ჯიში უფრო შესაფერია კახურ ჯიშის ვაზზე დასამყნობლად.

თათბირი უნდა შესდგეს უმთავრესად იმ პირთაგან, რომელთაც უმუშავნიათ კახეთში ამერიკულ ვაზის კულტურაზე და, მაშასადამე, გამოცდილება აქვთ ამ მხრით.

ამ პირთა ცდის და დაკვირვების შედეგი უნდა საფუძვლად დაედოს მომავალ მოქმედების გეგმის შედგენას.

ხსენებულ მიზნის მისაღწევად კრებას შემდეგი საგნები ექნება გასარჩევი:

1) ამორჩევა ამერიკულ ვაზის რამდენიმე ჯიშისა, რომლებზედაც უნდა დაიწყოს ცდა და დაკვირვება ამათგან შესაფერი ნერგის გასაზრდელად იმ ადგილობრივ და ევროპიულ ვაზის ჯიშებისათვის, რომლებიც მასზე უნდა დაემყნოს.

2) დანიშვნა იმ ადგილებისა, სადაც უნდა დაიწყოს მომავალი ცდა და დაკვირვება, აგრეთვე იმისა, თუ რომელი კომბინაცია და რამდენი უნდა იქმნენ საცდელად აღებული.

3) გათვალისწინება იმ საშუალებებისა, რომლებიც ადგილობრივ კულტურულ ძალთა შეთანხმებულ მოქმედებას გამოიწვევს.

4) მახლობელ მოქმედების წესრიგის დადგენა როგორც ახალ ცდის და დაკვირვების მოსაწყობად, აგრეთვე გამოსარკვევად იმისა, რაც აქამდისინ გაკეთებულა. გამორკვევა იმისა, დაურგავთ და უხარებიათ ამერიკული ვაზი თუ არა, თუ სად იყო მოწყობილი ცდა, რა ნაირი იყო ნიადაგი და სხვა პირობები, რა დროს იყო ვაზი ჩაყრილი, რომელი ჯიში იყო ხმარებული ნერგად და ვისგან იყო შეძენილი. დათვალიერება და დაფასება მიღწეული შედეგებისა. რამდენი დაჯდება ამ საქმის მოწესრიგება დასახულ მიზნის მისაღწევად და საიდან დაიფაროს ეს ხარჯი.

5) რა ნაირად შეიძლება გამოვიყენოთ ამ საქმისათვის გლეხების მეურნეობა.

6) დასახვა იმ საშუალებებისა, თუ როგორ გავრცელდეს ხალხში უკვე მოწონებული ღონისძიებანი და რა გზით განხორციელდეს მომავალში განზრახულ გამოკვლევათა შედეგი.

დეპეშა

მოსკოვი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

გაიხსნა სახალხო ბანკი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მანუილოვი. ამიერ კავკასიის განყოფილების გახსნის საჭიროებაზე ლაპარაკობდნენ არშაკ ბაბოვი, გაბილაია და გუგუშვილი.

სრულიად რუსეთის საკოოპერაციო მოღვაწეთა კრება.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

უზარმაზარი დარბაზი პეტერბურგის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა გაჭედილია კოოპერატორებით. 800 წარმომადგენელი საკოოპერატო ორგანიზაციებისა—რუსები, უკრაინელები, პოლონელები, ლიტველები, ქართველები, სომხები, ებრაელები, თათრები და სხვ. ჟივილ-ხივილით ავსებენ დარბაზს.

აქა-იქ გაისმის ცხარე კამათი და პროტესტი იმის გამო, რომ სრულიად რუსეთის საკოოპერაციო კრების პრეზიდიუმი კიდეც დანიშნული იყო და ამით დასაწყისშივე შეიზღუდა კრების წევრთა უფლებები. ამის საპასუხოდ ამბობდნენ, მთავრობა თანხმდებოდა ამ კრების მოწვევაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ თავმჯდომარენი საერთო კრებისა და სექციებისა დანიშნული იქნებიანო.

კოოპერატორები არა ნაკლებ უკმაყოფილონი იყვნენ, იმ ფაქტითაც რომ ცნობილ საერობო მოღვაწეებს გადამწყვეტ ხმას არ აძლევდნენ, ბოლოს კრებამ მაინც თავისი გაიტანა და მისცა მათ უფლება.

კრების მუშაობა გაგრძელდა 6 დღე. იწყობოდა დილით 10 საათზე და გრძელდებოდა ღამის 12 საათამდის. ბევრი რამ საინტერესო გამოითქვა ამ კრებაზე. ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან დაწვრილებით გადავსცე მკითხველებს შესანიშნავი მასალა. აქ ვათავებ მხოლოდ ორიოდე საინტერესო მომენტს კრების მუშაობისას და ბაასისას.

საკოოპერატო კანონმდებლობა. რუსეთს საგანგებო საკოოპერატო კანონმდებლობა არა აქვს. როცა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა იგრძნეს კოოპერატიულ მოძრაობის დიადი მნიშვნელობა, თავის კანონმდებლობაში შეიტანეს მუხლი, რომელიც საკოოპერაციო მოძრაობას კანონიერ მფარველობას უწევდა.

კოოპერაცია გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, დანიაში და სხვ. ამ საფუძველზე გაიზარდა, განვითარდა და გაიფურჩქნა. რუსეთში კი კოოპერაცია დღემდის მიკედლებულია სხვა და სხვა სამინისტრო დეპარტამენტებთან, რომელნიც როგორც კრებაზე გამოირკვა, ძალიან შორსა სდგანან კოოპერატიულ იდეისაგან და უფრო, პოლიტიკურ გუნების მიხედვით, კრიჭაში უდგანან რუსეთის კოოპერატიულ მოძრაობას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრება სერიოზულად მოეკიდა ამ საგანს და უპირველეს ყოვლისა გადასწყვიტა, კრების მიერ არჩეულ საკანონმდებლო კომისიაში უნდა შევიდნენ არა მარტო რუსეთის ცნობილი მეცნიერები-კოოპერატორები, არამედ პრაქტიკის წარმომადგენლებიც სხვა და სხვა რაიონულ და ეროვნულ კოოპერატივებისაგანაო. (ეს წინადადება უკრაინელებს ეკუთვნოდა.) სხვათა შორის ამ კომისიაში მოჰყვა ორი ქართველიც.

ზემოხსენებულმა კომისიამ, რომელიც 30 კაცისაგან შესდგებოდა, აირჩია თავმჯდომარედ პროფ. ა. ნ. ანცფეროვი, მის თანაშემწედ პოლონეთის ცნობილი კოოპერატორი ს. ვოქჰეხოვსკი და შეუდგა მუშაობას. ცხარე კამათი გამოიწვია სამმა დიდმნიშვნელოვანმა საკითხმა: 1) კოოპერაციების დასაარსებლად საჭიროა წინასწარ ნებართვის გამოთხოვა, თუ საკმარისია განცხადებითი წესი. კრებამ მეორე წესი ამჯობინა და საჭიროდ დაინახა, რომ კოოპერაციის დასაარსებლად საკმარისი იყოს განცხადების წარდგენა საოლქო სასამართლოში, რომელსაც კოოპერაციის დამაარსებელნი წარადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს. თუ ერთი კვირის განმავლობაში სასამართლომ არავითარი პასუხი არ გასცა, კოოპერაცია დაარსებულად უნდა ჩაითვალოს.

2) საჭიროა თუ არა სხვა და სხვა დარგის კოპერაციებისთვის საერთო კანონმდებლობის შექმნა: კრებამ საჭიროდა სცნო საერთო კანონმდებლობის შემოღება, მიუხედავად იმისა, რომ წვრილი კრედიტის მმართველების წარმომადგენელთ საკმარისად მიაჩნდათ წვრილი კრედიტის ამხანაგობებისთვის ის კანონმდებლობაც, რომელიც განსაკუთრებით კოოპერაციის ამ დარგისთვის არსებობს. კრებამ საჭიროდ სცნო, წვრილი კრედიტის ამხანაგობანიც საერთო კანონმდებლობას დაუქვემდებარდეს.

3) კომისიის მუშაობის საინტერესო მომენტად ჩაითვლება ისიც, როცა კამისია შეუდგა იმ მუხლის განხილვას, თუ რა ენაზედ უნდა სწარმოებდეს კოპერატივების საქმეები? ზოგის აზრით ყველა კოოპერატივებში რუსული ენა უნდა ყოფილიყო გამეფებული, უმრავლესობის აზრით კი საკითხი ენის შესახებ კანონმდებლობით არ უნდა გადასწყდეს. მაშინ შესაძლებელი იქნება კოოპერატივებმა არა რუსულ ენაზედაც აწარმოვონ საქმეებიო... მაგრამ საქართველოს დელეგატებმა ენერგიულად მოითხოვეს, ამ მუხლში პირახდილად დაცული იყოს უფლება სხვა ენებისაც. ქართველებს მხარი დაუჭირეს უკრაინელებმა და ბევრმა რუსებმაც, და კამისიამ მიიღო ზემოხსენებული მუხლი დაახლოვებით ამ რედაქციით: **კოოპერატიულ ამხანაგობას შეუძლიან აწარმოვოს თავის, საქმეები იმ ენაზედ რომელიც უფრო გასაგებია ამხანაგობის წევრებისათვის.**

საკანონმდებლო კომისიის ნამუშავარი იქმნება შეტანილი სახელმწიფო სათათბიროში და საბჭოში ამ მოკლე ხანში დასამტკიცებლად.

მოსკოვის სახალხო ბანკი. ამ საკითხის გარშემო დიდი და საინტერესო კამათი ასტყდა. როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენება, ამ ბანკის ინიციატორებს რუსეთის ცნობილ კოოპერატორთა მოღვაწეებს აზრად ჰქონდათ დაეარსებინათ ცენტრალური სახალხო საკოოპერაციო ბანკი მოსკოვში, რომლის უპირველესი მიზანიცაა ენერგიული დახმარება გაუწიოს რუსეთის იმპერიამ კოოპერატიულ ამხანაგობებს. ეხლა, როცა საქმე დაამთავრეს და 28 მარტიდან ბანკი კიდეც იწყებს მუშაობას, ბანკის დამაარსებლებმა სთხოვეს სრულიად რუსეთის საკოოპერაციო კრებას, ამ კეთილ საქმეს მხარი დაუჭიროს და ამით მისცეს შესაფერი ძალა მომავალ მოქმედებაში. მაგრამ ბანკს მოპირდაპირენიც გამოუჩნდნენ. პირველად გამოილაშქრეს უკრაინელებმა. „მე არა ვარ მომხრე იმ ცენტრალისტურ ტენდენციებისა, რომლითაც არიან გამსჭვალულნი მოსკოვის სახალხო ბანკის დამაარსებელნი, ამბობდა მამა რუსეთის კოოპერაციისა, უკრაინელი, მოხუცი ნ. ვ. ლევიტსკი. არცა მჯერა, რომ თქვენმა ბანკმა დიდი ძალა და გავლენა იქონიოს მთელ რუსეთის საკოოპერაციო ორგანიზაციებზე. რუსეთის იმპერია დიდია, მრავალ-ფეროვანი გეოგრაფიულად, ეკონომიურად, ნაციონალურად; ამიტომ უფრო გონივრული იქნებოდა, თუ ყოველ ღონისძიებას ვიხმარდით და ადგილობრივ დავაარსებდით ამისთანა ბანკებს. როცა უკანასკნელთ გავაძლიერებდით, მაშინ შესაძლო და აუცილებელიც იქნებოდა დაარსება ცენტრალურ საკოოპერაციო ბანკისა".

სხვა უკრაინელები, ყაზახები, ლიტველები, და ებრაელები პირახდილად იცავდნენ დეცენტრალისტურ პრინციპებს საკოოპერაციო საქმის მოწყობაში. საერთოდ კრებაც ტაშის-ცემით ეგებებოდა ამ ორატორებს. ნათლადა სჩანდა, დეცენტრალისტურ მიმართულებას ბევრი მომხრენი ჰყავდა.

მოსკოვის სახალხო ბანკს მიეშველა პოლონელი კოოპერატორი ს. ვოიცეხოვსკი: „მე მიკვირს, რომ უკრაინელებში ამისთანა წინააღმდეგობა დაიბადა მოსკოვის ბანკის საქმეში. მიკვირს უფრო იმიტომ, რომ უკრაინელებმა ½ რიცხვი მოსკოვის ბანკის აქციებისა შეისყიდეს; ამით ფაქტიურად ხელი შეუწყეს ბანკის დაარსებას, და ეხლა აქ მოდიან და წინააღმდეგობას უწევენ იმავე ბანკს. ბატონებო! თუ თქვენ ადგილობრივ საკუთარ ბანკის მომხრე იყავით, საქმეც უნდა გაგეკეთებინათ და ბანკი დაგეარსებინათ. თქვენ კი მოსკოვის ბანკის აქციებით ჯიბეები გაივსეთ და იმავე დროს წინააღმდეგობასაც უწევთ. ეს ულოღიკობა გახლავთ. ჩვენ, პოლონელებმა ლაპარაკიდან და წინააღმდეგობიდან კი არ დავიწყეთ, არამედ საქმიდან; დავაარსეთ საკუთარი ბანკი ვარშავაში. თქვენც ეგრე გირჩევთ; დაარსეთ საკუთარი ბანკი, მოსკოვის სახალხო ბანკის კარგს განზრახვებს კი ლობე ყორედ ნუ ედებით".

პოლონელმა კოოპერატორმა მოსკოვის ბანკი განსაცდელისაგან დაიხსნა. კრებამ დაადასტურა მოსკოვის სახალხო ბანკის გახსნა და მოქმედება, მაგრამ მაინც საჭიროდ სცნო რეზოლუციაში სხვათა შორის შეეტანა: „მოსკოვის სახალხო ბანკი ეხმარება ადგილობრივ ბანკის დაარსებასა და სხვა.

კულუარებში გამწყრალი უკრაინელები პოლონელ დელეგატზე მეუბნებოდნენ: პოლონელებს ვიცნობთო... ეგრე იციან... თავის საქმეს გაიმართავენ და მაშინ სხვები აღარ ახსოვთო.

საკოოპერაციო კავშირების საკითხის გარჩევამდე რომ მივიდა საქმე დარბაზი პოლიციელებით გაივსო (მოსკოვის საკოოპერატო კრებამ 1908 წ. ამ საკითხზე კისერი მოიტეხა: კრება პოლიციამ დახურა).

აქაც აღმოჩნდა, რომ კრება მომხრეა ადგილობრივ ძლიერ კავშირებისა. ყველასაგან ისმოდა: კავშირების დაარსებას ეხლანდელი პოლიტიკური პირობები ხელს უშლისო.

კრებებმა და სექციებმა 300-დე რეზოლუცია გამოიტანეს.

არა ნაკლებ საინტერესო იყო საუბრები და ნალაპარაკევი კულუარებში... ამაზე შემდეგ.

დავით კახელი.

სხვა და სხვა ამბავი

— **კადეტთა და პროგრესისტების** შეკრებებმა ყველგან უფრო სიხარულით აღნიშნენ. ბლოკს, სხვათა შორის, — კანდიდატებად დასახელებია: ხომიაკოვი, ალექსეენკო და მეიენდორფი, გამარჯვების იმედი აქვთ ჩრდილოეთისა, სამხრეთისა და დასავლეთის გუბერნიებში.

— **საეკლესიო კრება.** ამ დღეებში საეკლესიო კრების მოწვევისა და პატრიარქობის აღდგენის ბრძანებას მოელიან. რუსეთის გაზეთების სიტყვით, პატრიარქად ერთ-ერთ უმაღლეს სასულიერო პირს ამოირჩევენ.

— **გერცენის** ხსოვნის აღსანიშნავად 26 მარტს პეტერბურგში დღესასწაულის გამართვას აპირებენ. დღესასწაულს ბერლინისა და პარიზის დელეგატებიც დაესწრებიან.

შავი-ზღვის ნაპირის გზა.

„კასპი"-ს სიტყვით, პეტერბურგს ჩასულ ინგლისელ ფინანსისტებს ბალფურსა და ჩემბერლენს განზრახვა აქვთ შავი-ზღვის სანაპირო რკინის გზის გაყვანის თაობაზე მოლაპარაკება გამართონ. თუ საქმე ვერ მოაგვარეს და კონცესიის აღება ვერ მოახერხეს, აპირებენ რუსის მრეწველებს მისცენ ფული გზის გასაყვანად.

გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი.

აღდგომის წინა დღეებში გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნა შეუტანია. არავინ იცის, საქმე როგორ გადასწყდა. ამ საქმის გამო ამ დღეებში გრაფი ვიტტე ლივადიაში გამგზავრებულა. თუ ბალკანეთში საქმე სხვანაირად არ დატრიალდა, შეიძლება გარეშე საქმეთა მინისტრობა ვიტტეს ჩააბარონო.

მუშათა გაფიცვა.

ოქროს მადნების მუშათა გაფიცვა, „კასპის" სიტყვით, თანდათან ძლიერდება. მოთხოვნილებანი საეკონომიო ხასიათისაა. მადნებისაკენ ასი ყაზახი გაუგზავნიათ.

ყალბი ჩეკი.

ბუდაპეშტის ბანკიდან ყალბის ჩეკით გაუტანიათ 5800 კრონი. (კრონი თითქმის ორ აბაზს უდრის). ამასთანავე ყალბი ჩეკი წარუდგენიათ ბელგრადის ბანკისათვის, ფული ერთს სომეხს მიუღია და მიმალულა.

ქალი-ხმოსანი.

ქ-ნმა ჰენრიეტა პრევომ პარიზის საქალაქო არჩევნებისათვის თავისი კანდიდატურა წამოაყენა.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა პურიშკევიჩის საჩივარი. პურიშკევიჩმა განასაჩივრა ბესარაბიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დადგენილება, რომლის ძალითაც პურიშკევიჩი თავად-აზნაურთა წინამძღოლ კრუპენსკის შეურაცხყოფისათვის თავად-აზნაურთა წოდებიდან გამორიცხეს.

ჩვენი ბელეტრისტები

მოთხრობები დუტუ მეგრელისა.

(გაგრძელება *)

დ. მეგრელის მოთხრობა **„საცოდავნი"**, საკმარისად მოზრდილია. მისი შინაარსი მოკლედ შემდეგია: „ერთ ღარიბ-ღატაკ გლეხის ოჯახში ცხოვრობდნენ სამი ძმა და ოთხი და. ამათში ეკა ერჩეოდა თავისი ფიზიკურ და ზნეობრივ სილამაზით და სიფაქიზით. სოფელში ის ყველასათვის საყვარელი იყო... ერთხელ სოფლის მემამულეს—თავადს ქუთაისიდან რუსი მოხელე ივან პეტროვიჩი ესტუმრა. მასპინძელმა თავისი სტუმარი კვირა საღამოს „ობირეში" (სამეგრელოში ასე ეძახიან ადგილს ცეკვა-სიმღერისათვის) წაიყვანა, რომ მისთვის ეჩვენებინა სოფლელების ცეკვა-თამაში, სიმღერა და აძით ესიამოვნებინა. ბატონის ბრძანებით სოფლელებმა გააკეთეს წრე, მოიყვანეს დაირის დამკვრელი და მორთეს „რე-რო-რაშა". გაიმართა ცეკვა. სხვათა შორის, ითამაშა მშვენიერმა ეკამაც. მისი თამაში იმდენად მშვენიერი იყო, რომ ყველა აღტაცებაში მოიყვანა. ყველაზე მეტად გამხიარულდა რუსი: ეტყობოდა, რომ ამისთანა თავის დღეში არაფერი ენახა. ის ერთიანად, ქუდიდან დაწყებული ფეხებამდე, თრთოდა, კანკალებდა და იღიმებოდა... ივან პეტროვიჩს აღძრა ბინძური სურვილი „ეშოვნა" ეკა ისე, როგორც, მისი სიტყვით, წინედაც, ბატონ-ყმობის გადავარდნამდე, არა ერთი „ასული კოლხიდისა უშოვნია" მას ფულით. ივან პეტროვიჩს დახმარებას უწევენ მასპინძლები და მისი მხლებელი—ვახთა. ახლა დრო ისეთი იყო, რომ ფულით ყიდვა ვისიმე ისე ადვილად არ მოხერხდებოდა. ამისათვის ვახთამ სხვა ხერხს მიმართა. რადგანაც სამეგრელოში შვილად აყვანას დიდი პატივი აქვს, ეკას და მის მშობლებს გამოუცხადა ივან პეტროვიჩის სურვილი ეკა ეშვილებინა და იმისთვის, როგორც უძეოს, გადაეცა თავისი ქონება. ვახთას მოხერხებულმა სიტყვამ, რომელმაც ცხადად დაუხატა საბრალო ეკას დედ-მამას სამოთხე და ქალბატონის ეკასთან საუბარმა (ეკა „კნეინას" ნათლული იყო), რომელმაც ეკა გაიტაცა და გული გაუბრწყინა მომავლის ბედნიერებით — სამუდამოდ გადასწყვიტეს ეკას ბედი: ეკა და მისი დედ-მამა დასთანხმდნენ წინადადებაზე, რადგანაც სურდათ თავისი ღარიბ-ღატაკი ოჯახი ფეხებზე წამოეყენებინათ.

ივან პეტროვიჩის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მშვენივრად მორთო-მოკაზმა ეკა, დაასაჩუქრა მისი დედ-მამა და ნათესავები.

რამდენიმე დღის შემდეგ ეკა და ივან პეტროვიჩი გამოეთხოვნენ სოფლელებს და ეტლით ქუთაისში გაემგზავრნენ. გამგზავრების დროს ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. სოფელში ცხოვრობდა ერთი „მუნჯია", რომელიც ეკას ძლიერ ებრალებოდა და ეცოდებოდა, ნამეტურ თუ ხედავდა, რომ საწყალს დასცინოდნენ ან აწვალებდნენ სოფლის ბიჭები. მუნჯიასაც ისე უყვარდა ეკა, როგორც ძაღლს საყვარელი პატრონი. ეს სიყვარული, რასაკვირველია, ინსტინკტიური იყო, სამაგიეროდ კი ნამდვილი, შეუცვლელი, მტიკცე და გაუზომელი. მხოლოდ ერთად-ერთს სიკვდილს შეეძლო მუნჯიას გულში ამ სიყვარულის მოსპობა. და სწრაფედ ასეც მოხდა. მუნჯია, რომელიც ალღოთი გრძნობდა, რომ ეკას სამუდამოდ ჰკარგავდა, გამხეცებული გამოეკიდა მიმქროლავ ეტლს, რომელშიაც ეკა და ივან პეტროვიჩი ისხდნენ და უნდოდა თავისი საყვარელი ეკა დაებრუნებინა. მაგრამ ივან პეტროვიჩის დამბაჩამ მთლად დაუმსხვრია თავის ძვლები და ტვინიც დედა-მიწაზე დაანთხია. გაიგო თუ არა ასეთი უბედურობა, ეკას ავადმყოფმა მამამ, მისი გასტუმრების ერთად-ერთი მოწინააღმდეგე, იმავე ღამეს გარდაიცვალა.

გავიდა სამი წელი. ამ ხნის განმავლობაში აღარაფერი შეუტყვიათ ეკასი მის ნათესავებს. აღარც ივან პეტროვიჩი გაჰკაჭანებულა მერე სოფელში. მხოლოდ რამოდენიმე თვის წინედ ბატონი იყო ქუთაისში და ჩამოიტანა ამბავი—ივან პეტროვიჩი იქ აღარ არის, რუსეთში გადუყვანიათო.

ერთს დღეს მთელმა სოფელმა დაიწყო ლაპარაკი — ეკა მოსულაო. ამ დროს ეკას დედა ავად იყო. სულთმობრძავმა დედამ იცნო ეკა და მერე მალე სული განუტევა... ეკა სრულებით აღარ ჰგავდა იმ ეკას რომელიც სამი წლის წინედ აქედგან წაიყვანეს: მშვენიერ ახალგაზდა ქალიშვილის ნაცვლად, დარჩენილა რაღაც ლანდი, რომლის დანახვაც ადამიანს ზიზღს მოჰგვრიდა. ეკას, რომელიც დასთან საყდრის გალავანში დადგა, მტრულად შეხვდა სოფელი. „ეშმაკის კერძია და საყდრის ეზოში აბა რა უნდაო",—ამბობდნენ სოფლის დედა-კაცები.

ეკამ ვერ აიტანა... ისევ იქ, იქ ქუთაისში იქ არის მისი ადგილი! ისიც რამოდენიმე დღის შემდეგ განშორდა სოფელს.

ამის შემდეგ გავიდა შვიდი-რვა წელიწადი. ერთს დღეს საყდრის გალავანში მღვდელმა ნახა საშინელი მათხოვარი: მას თავის მაგიერ ჰქონდა ორი თვალი, დაკრეჭილი კბილები და ნიკაპი. პირის და ცხვირის მაგიერ, რაღაც უშველებელი ორმო იყო, საიდამაც შესაზარი სუნი ამოსდიოდა. მომაკვდავმა მათხოვარმა (რომელიც ეკა იყო) მღვდელს უამბო თავისი თავ-გადასავალი: ის ივან პეტროვიჩს შეეცდინა, გაერყვნა, ბოლოს აეძულებინა თვისი ხელით შვილი მოეკლა და მერე თითონ რუსეთში გადასულა; ეკა კი უპატრონოდ დაეგდო. მას დარჩენია ერთად-ერთი ცხოვრების სახსარი— თვისი ტანი და იმითი დაეწყო ვაჭრობა...

ასეთია სიუჟეტი მოთხრობისა:

როგორც სჩანს, ავტორს სურს დაგვიხატოს უმანკოების და სილამაზის მოტყუებით დაღუპვა და ამისი საშინელი შედეგები. ეს თემა საზოგადოდ არ ახალია—ძველია, და ჩვენს ლიტერატურაშიაც ჰყავს გამომხატველნი—ე. ნინოშვილი, ანტ. ფურცელაძე და სხვანი. სურვილი დ. მეგრელისა სიმპატიურია. თვით მოთხრობაში მკითხველი ყველგან ამჩნევს ავტორის ჰუმანიურს გრძნობას, კაცთ-მოყვარეობას, ბოროტებისადმი სიძულვილს, დაჩაგრულთადმი სიბრალულს. მაგრამ ეს სიმპატიური გრძნობა და იდეა შესაფერის ხელოვნებით არ არის გამოსახული. ბ. დ. მეგრელის **„საბრალონი"** უფრო მშრალი ქადაგებაა სიბრალულისა, უფრო პუბლიცისტური მხილებაა ბოროტებისა, ვინემ კოხტად, შნოიანად, ცოცხლად და რეალურად შექმნილი პოეტიური ნაწარმოები. კერძოდ, ავტორს გმირები შეუსაბამოდ ყავს დახატული. მოთხრობის უმთავრესი გმირი—ეკა უსისხლხორცო იდეალიზაციაა, გაზვიადებული აღწერაა ქალის ფიზიკურ და ზნეობრივ ღირსებებისა. ეკა ისეთი ზოგადი ტიპია, რომლის სამშობლო ყველგანაა. არც ერთ თავისებურ და ეროვნულ ფერებით არ არის გაცოცხლებული მისი სახე, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ლეკურს მშვენიერად თამაშობს. ავტორი სულით და გულით ცდილობს დაგვიხატოს მომხიბლავ-მომჯადოებელი სურათი ყოველის მხრივ მშვენიერის ქართველის ქალისა: უხვად ხმარობს ეპიტეტებს, შედარებებს და სხვა მრავალ სიტყვიერს მასალას, მაგრამ საწუხაროდ, ეკას სახე მაინც მკრთალი და უსისხლ-ხორცო გამოუდის. აი როგორ აგვიწერს ეკას ავტორი: „ეკას ჩვენს სოფელში ტოლი არ ჰყავდა, ყველგან პირველი იყო. უიმისოდ არც ერთი ახალგაზდათა შეკრებულება, არც ერთი „ობირეში" არ ვარგოდა. იქ, სადაც ეკა არ დაესწრებოდა, თითქო რაღაც აკლდა; სადაც კი ეკა იქნებოდა, იქ ყველაფერს სხვა ფერი ედებოდა, ყველა სიამოვნებას გრძნობდა. ეკა ჩვენის სოფლის ახალგაზდებისთვის სწორედ რომ მზე იყო, ურომლისოდაც ბუნება ყოველთვის მწყრალია; ნამეტნავად ჩვენი სოფლის ახალგაზდა ბიჭები ეკას ღმერთსავით თაყვანს სცემდნენ და ეკაც ღირსი იყო ამ თაყვანის ცემისა. ერთი იმისი დანახვა, ერთი იმისი ლაპარაკება ჟრუანტელს მოჰგვრიდა ყველა ახალგაზდას და, რასაკვირველია, თუ ჩვენს სოფელში ყველანი ერთად და თითოეულ ცალკე ცდილობდნენ დაემსახურებინათ ეკას ყურადღება" (გვ. 11)... „მთელს ყმაწვილ ქალების გროვაში ეკა ისე ერჩეოდა, როგორც ვარსკვლავებში მთვარე" (გვ. 20)... „ეკას მეტად ჩვილი გული ჰქონდა და ყველა დამცირებული და დატანჯული ებრალებოდა; ნამეტურ თუ ხედავდა, რომ საწყალს კიდევ ცუდად ეპყრობიან, მაშინ მზად იყო თითონვე აეტანა ყოველივე სატანჯველი, ოღონდ სხვის წვალებისათვის არ ეყურებინა. აგრეთვე საშინლად ებრალებოდა ეკას ყველასაგან დაჩაგრული ბუნებისაგან დასჯილი მუნჯია და ეს საბრალული სიყვარულს ესაზღვრებოდა. იმისთვის ეკა ღმერთი იყო"... (გვ. 13.).

როგორც ხედავთ, ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება კარგად, დახატოს სიმპატიური სახე ქართველის ქალისა, მაგრამ მას სიცოცხლით სავსე სახის ნაცვლად გამოუვიდა მხოლოდ მშვენიერი და გამოქანდაკებული მარმარილოს სახიერება და არა სიცოცხლით, სისხლით და ძარღვებით გაელვარებული სახე მშვენიერის ადამიანისა!

თუ რანაირად მოხდება ხოლმე ის, პირველ შეხედვით საკვირველი მოვლენა, რომ ზოგი მწერალი ერთის კალმის მოსმით, ორიოდე უბრალო სიტყვით შეჰქმნის ცოცხალს ტიპს, მეორე კი ამასვე ვერ აღწევს ათიდა ას ლამაზ სიტყვებითაც—ეს მოვლენა, რასაკვირველია, შეადგენს ხელოვნების შინაგან თვისებათა საიდუმლოებას. ჩვენი ავტორი ამ საიდუმლო თვისებით, სამწუხაროდ, არ არის დაჯილდოებული.

მეორე ტიპი - ვახთა შედარებით უფრო მთლიანად და ნამდვილად არის დასურათებული.

ვახთა ჩვენში გაბატონებულ ელემენტების გარყვნილ-გაფუჭებული მონაა, ქვემძრომია ივან პეტროვიჩის წინაშე, რომლისგან ის ჯილდოს მოელის. ღმერთი იმისთვის კარგა ხანია აღარა სუფევს; ადამიანური

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 560.

ჩინეთი
II

(შემდეგი *)

ჩინეთის ქალაქები. ქუჩები და სახლები. მცურავი ქალაქები. მცურავი კუნძულები. სამლოცველოები. გასართობები. სკოლა.

რამდენად სუფთად ინახავენ ჩინელები მინდვრებს და ბაღებს, იმდენად უსუფთაოდა არის შენახული სოფლები და ქალაქები. ჩინელების ქალაქები, ანუ როგორც ისინი ეძახიან, **ტცენგ** არის ოთხკუთხი ფორმისა, რომლებსაც გარშემო აკრავს უზარმაზარი გალავანი. ამ გალავნის შიგნით არის მეორე გალავანი. ამ უკანასკნელში კი მოთავსებულია ყველა ამ ქალაქის დაწესებულებანი: სასამართლო, სატუსაღო, სახლი მოხელე-მანდარინისა და სხვები. სახლები ერთსართულიანია. მთელი ვაჭრობა ხდება ამ ორ გალავან შუა. ქუჩები ძალიან ვიწროა, მიხვეულ-მოხვეული. ქუჩებში აქა-იქ აგროვია ნაგავი, ქუჩებშივე გაყვანილია სიმინაურის არხები, რომლებიც არაფრით არ არის დახურული. ამ გვარად ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდება ადამიანს, ნაგავი, ტალახი და სდგას საშინელი აყროლებული სუნი. ჩინელების სახლები ძალიან უბრალოდ არიან გაკეთებულნი. ბამბუკის ჯადანაჭერში სცხოვრობს მთელი ოჯახი. ამისთანა ხის შენობებს ხშირად უჩნდებათ ცეცხლი, ამიტომ სამხრეთის ქალაქის კარებს ჰკეტავენ, რომ ქალაქში არ შეუშვან „ცეცხლის ღმერთი". გლეხები სახლებს აკეთებენ თიხისაგან, ჰხურავენ კრამიტს, ან ჩალას, იატაკიც თიხისაა, ფანჯრები არა აქვთ. თუ აქვთ ძალიან პატარები. ოთახში სდგას მაგიდა და რამდენიმე სკამი. ჩინელებს სძინავთ იატაკზე, ზედ იხურავენ ბამბის ბალახის ძირებს. ერთ პატარა ოთახში სცხოვრობს მთელი ოჯახი, რომელიც შესდგება რამდენიმე წევრისაგან. ამასთან უნდა დაუმატო, რომ თითო ოჯახში სცხოვრობს რამდენიმე თაობა ერთად. ოჯახის წევრებს ჩხუბი არ მოსდით და ერთმანეთში სრული თანხმობა აქვთ, იმიტომ რომ მორჩილება უმცროსისა უფროსთან შეადგენს უპირველეს მოვალეობას ყოველ ჩინელისას.

ჩინეთის სატახტო ქალაქია პეკინი 1 ნახ. მილ. მცხოვრებით. აქ სცხოვრობდა ბოგდიხანი ჩინეთის მეფე. აქ არის ბევრი სამლოცველოები და სატახტო ქალაქის დაწესებულებანი. პეკინის სამხრეთით მანჯურიის საზღვართან ამართულია ჩინეთის უდიდესი გალავანი, რომელსაც სიგრძე აქვს სამი ათას ვერსზე მეტი. ეს გალავანი აშენებულია ამ ორი ათასი წლის წინად და ისევ კარგად არის შენახული.

ზღვის პირა ქალაქთა შორის შესანიშნავია ვიქტორია კუნძულ გონგ-კონგზე. ეს ქალაქი დასახლებულია ევროპიელებით და განსაკუთრებით ინგლისელებით. აქ ხშირად იცის ქარიშხალი—ტაიფუნი, რომელიც ანგრევს და ანადგურებს ზღვის პირა მდებარე ქალაქებს. 1874 წელს ტაიფუნმა შთანთქა ათასზე მეტი სახლი მცხოვრებლებით და დაღუპა ოცდა ათი ათასამდე დიდი გემები.

მიწის სივიწროვემ აიძულა ჩინელები გაეკეთებინათ სახლები მდინარეებზე და სრუტეებზე. სახლისთვის დანიშნულ მიწას ხნავენ, მხოლოდ სახლებს კი აკეთებენ ტივებზე და წყალში ჩასმულ ბოძებზე. რომ პატარა ბავშვები არ გადაცვივდნენ წყალში, ჩინელები ბავშვებს მოაჯირზე აბამენ თოკით. სახლების გარდა აკეთებენ ეგრედ წოდებულ მცურავ კუნძულებს. ესეც რასაკვირველია გამოწვეულია ადგილის სივიწროვით. შეჰკრავენ ტივებს, ზედ დაჰყრიან მიწას და მერე სთესვენ ზედ ხორბლეულობას. ამ მცურავ კუნძულებს აქეთ იქით ატარებენ, როდესაც ამას მოითხოვს საჭიროება, მაგ. მიიტანენ მზის მხარეზე, ან კიდევ ჩრდილში.

ჩინელები ძალიან მორწმუნე ხალხია. ყოველ სოფელში მოიპოვება რამდენიმე სამლოცველო, არა ნაკლებ თორმეტისა. ჩინელებს ძალიან სწამთ თავიანთი წინაპარნი და ამიტომ ერთი სამლოცველო გაკეთებულია წინაპართა სახელობაზე. ჩინელების სამლოცველოები შესდგება რამდენიმე ოთახისაგან. ეს ოთახები შიგნით ათას ფრათ არის შეღებილი, მოჩუქურთმებული. სამლოცველოს არტყია გარშემო უზარმაზარი გალავანი შესასვლელ კარებით. გალავნის შესასვლელ კარებში სდგას რამდენიმე კერპი. თვით სამლოცველოს ოთახში კი სდგას რამდენიმე კერპი კეთილი და ავი სულისა. აქვე აწყვია ყოველგვარი ჭურჭელი. შუა ჭერიდან ჩამოშვებულია ფარანი ზედ წარწერით, ვის სახელზეა აშენებული სამლოცველო; სამლოცველოს აშენების შემდეგ, ჩინელები სრულიადაც აღარა ზრუნავენ იმის შესაკეთებლად, რის გამოც ისინი მიტოვებულია და მინგრეულ-მონგრეულია. ზოგიერთა სამლოცველოს ოთახებში მგზავრები ღამეს ათევენ

ჩინელებს ძალიან უყვართ გართობა. ისინი თავს იყრიან ეგრედ წოდებულ **„ჩაის სახლებში"**, ამ გვარი სახლები აუარებელია ჩინეთში. ჩაის სახლებს აკეთებენ ან შიგ წყალში, ან კიდევ წყლის ნაპირას ბოძებზე. ჩვენებური საჩაიე უფრო სუფთაა ვიდრე იქაური ჩაის სახლები. ეს სახლი შესდგება ორი ან სამი ოთახისაგან. შიგ სდგას რამდენიმე მაგიდა უსუფროდ. აქ ჩინელები სვამენ ჩაის, სჭამენ და ისმენენ მუსიკას. ზოგნი თამაშობენ ბანქოსა და კოჭს და ამგვარად ირთობენ თავს. ამასთანავე ა სანიშნავია, რომ ჩინელები ჭამის დროს იხდიან ზედა ტანთსაცმელს და შალვრის ამარა სჭამენ საჭმელს.

დ. ბურჭულაძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 560.

მოვაგონებთ ჩვენ ხელის-მომწერთ
რომ ყოველ თვის დამდეგიდან ვისაც
ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი
გაზეთის გზანა ესპობათ

ზოგიერთ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვაცხადებთ რომ პრემია „გ რ დ ე მ ლ ი" ეძლევა მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ (ე. ი. ვინც გაზეთს გაიწერს 1 იანვრიდგან წლის ბოლომდე და განსაზღვრულ ვადაზე გადიხდის 8 მ. 50 კ.) და ამიტომ ზოგიერთთაგან გამოგზავნილი პრემიის გასაგზან ხარჯად 30 კაპ. ჩაეთვლებათ ხელის-მოწერის ანგარიშში.

სევდის ჰანგი

ჩემ ცხოვრების პირ-ქუშ ცასა
შუქს აფრქვევდა ერთი სხივი,
მაგრამ გაჰყვა დროთ ბრუნვასა
ჟამთ წყვდიადით განაცივი.

ტრფობის ბაღი სუსხმა დასწვა,
ბედის ქარი ყვავილთ ჰხევდა
და ოცნებამ სიმში რაც სთქვა
იყო მხოლოდ ჩემი სევდა.

ვსტირი მარტო... ჰგოდებს ჩანგი,
დნება ცრემლი უტყვ არეში;
მაგრამ მჯერა, წყევის ჰანგი
თან ჩამყვება სამარეში!

ნ. ჩხიკვაძე.

მაინც არ სცხრება!

(ბ. დეგოთელს)

დასასრული *)

ეხლა ერთხელ კიდევ დაუბრუნდები „გარდმოცემას", რადგან ჩემ მტერმოყვარეს არა თუ ახალი მოსაზრება შემოაქვს ამ ლეგენდის შესახებ, არამედ ახალი „ფაქტებიც" აღმოაჩინა თუშების ცხოვრებაში. ბ-ნი დეგოთელი ლეგენდის შინაარსს მოგვითხრობს ასე: ვითომ ჩალმა თუშებს ტყვედ წამოესხათ წოვები და დაესახლებინოთ ალვანში. ეს—ზღაპარია-მეთქი, ვინაიდან წოვები **თითონ დასახლდნენ** ალვანში რაკი ეს მამული ყველა თუშებს (წოვას, გომეწარს, ჩალმას და პირიქითის თემს) ეკუთვნოდა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანე ისტორიული საბუთი-დოკუმენტი. ეს დოკუმენტი არ შეიწყნარა და პირიქით შენიშვნასაც მაძლევს. გაიმეორებს რა დოკუმენტის სიტყვებს,—„შეგიწყალეთ და გიბოძეთ (ალვანი) თქვენ... **სულ ერთობილთ თუშთ** (ხაზი ჩემია დ. ქ.)...,—დასძენს: „აქ არც არაფერი თქვენი გასამართლებელია და არც ჩემი გასამტყუნარი, რადგანაც ეტყობა გუჯარი არა ჰყავს თუშებს წოვებად და ჩალმებად". ეს არის ბ-ნ დეგოთელის ახალი მოსაზრება და სწორედ ამ მოსაზრებაში არის ჩამარხული ერთი ფაქტის აღიარება მის მიერ. ბ-ნი დეგოთელი **არა ჰმალავს იმას, რომ ალვანის გუჯრის დაწერის დროს წოვა თუშებს თუშობის სახელი არ უტარებიათ.** რად დასჭირდა ჩემ მოკამათეს ასეთი „კრიმანჭული"? პასუხი აშკარაა. თავის ნათქვამი, ანუ „გარდმოცემის" ნაუბარი გაამართლოს, ე. ი., რომ წოვა თუშები ალვანში დააბინავეს ძალად ჩალმა თუშებმა. აქედან—ალვანი ეკუთვნოდა ჩალმებს (იმ ორმა თემმა რაღა დაიშავა?), ხოლო წოვებს აქ ხელი არა ჰქონდათ. ყველა ეს შეთხზა იმიტომ, რომ გაებათილებინა ჩემი აზრი. მე-კი, ვიმეორებ, ვამბობდი, რომ წოვები თავის ნებით ჩამოვიდნენ ალვანში, რადგან ალვანი მათაც ეკუთვნოდათ, და დავიმოწმე ისტორიული ფაქტიც. ვინაა მართალი აქ? ვნახოთ! ჯერ თვალი გადავავლოთ თვით ბ-ნ დეგოთელის ნაწერს.

ჩემი აზრი სრულიად მართალი გამოდგა: ბ-ნი დეგოთელი ხელმეორედ ამტკიცებს, რომ წოვა თუშებს ალვანში საქმე არა აქვთ; ანუ გუჯრის დაწერის დროს ან სრულიად არ ითვლებოდნენ წოვები თუშთა შორის, ან თუმცა თუშებად იწოდებოდნენ, მაგრამ მეფეებ'ა არა მისცეს რა. თორემ რა ათქმევინებდა ბ-ნ დეგოთელს ამ სიტყვებს:

...„ალავანი კახეთშია; კახეთი დასახლებულია **ქართველი ხალხით** (ხაზი ჩემია დ. ქ.), ძველადვე **ქართველები არიან ჩალმა თუშები** (ხაზი ჩემია დ. ქ.) და აი ამ **ჩამომავლობით ქართველ თუშებს ალვანში, ე. ი. კახეთში, ღლიღვლების ჩამომავლობის წოვა თუშები ედავებიანო** (ხაზი ჩემია. დ. ქ.)"... ამ თავის მშვენიერ აზრს ასურათებს უფრო მშვენიერი შედარებით: „აი ამაზედ არის ნათქვამიო, — კმაყოფილებით განაგრძობს ჩემი მოკამათე, -„ზამბურელი თათარი გოჭის თავს მედავებოდაო". ე. ი. წოვა დანარჩენ თუშებს—და არა მარტო ჩალმებს—ედავებიან იმას, რაც მათ არ ეკუთვნით. უკიდურესმა კრიტიკულმა მდგომარეობამ ბ-ნი დეგოთელი იქამდის მიიყვანა, რომ გადაჭრით ათქმევინა: **წოვა** (აქ სიტყვა „თუშს" ისე გაურბის, როგორც თათარი გოჭის თავს) **ქართველი არ არისო.** მეც კატეგორიულად მოვახსენებ ბ-ნ დეგოთელს, რომ წოვა თუში დღევანდლამდის ისტორიულად, პოლიტიკურად, **ფსიხიკის ნიადაგზე ნამდვილი ქართველია, ნამდვილი თუშია.** იქნება სხვამაც იფიქროს, რომ წოვა ალვანის გუჯრის დაწერის დროს თუშად არ იწოდებოდა? ამ გვარ ადამიანებს მე დავარწმუნებ, რომ წოვა აუცილებლად იმ დროს თუშეთში ცხოვრობდა და თუშად ითვლებოდა. მე მოვიყვან ერთ ისტორიულ საბუთს, ჩემი აზრის დასამტკიცებლად. ჩემ წინა ძევს ქადაგიძეების გვარის გათარხნების გუჯარი, საიდანაც ამოვწერე შემდეგი ადგილი: „ქ:. ჩვენ: პატრონმან: მეფემ: თეიმურაზ:. და. ძმან ჩვენმან: ერეკლემ: ესე: აზატობის: წიგნი: გიბოძეთ: შენ: **....თუშს:** ქადაგიშვილს: ნადირაულს: ძმასა. შენს: დაის (დავით. დ. ქ.):......, **ახ: რომე: უწინაც:** აზატი: ყოფილიყვე:..." ამ გუჯრის დაყრა უდრის 1736 წელს. ალვანის დოკუმენტის დრო არის 1757 წ. ქადაგიძეები დღესაც რამდენიმე კომლს შეადგენენ, ეკუთვნიან წოვა თუშებს და ალვანის მემკვიდრეებად ითვლებიან. ამ სტრიქონების დამწერიც ამგვარის ერთერთი წევრია. არა თუ 1736 წ. წოვები ითვლებოდნენ თუშებად, არამედ „უწინაც", როგორც აღნიშნულია დოკუმენტში.

ამის შემდეგ ვეკითხები ბ-ნ დეგოთელს: იწოდებოდნენ, თუ არა, წოვები თუშებად, იყვნენ თუ არა წოვები ალვანის გუჯრის დაწერის დროს თუშეთის მემკვიდრეებად, ან სცხოვრობდნენ, თუ არა, საქართველოში? „სულ ერთობილთ თუშთ"... შეიცავს, თუ არა, წოვა თუშებსაც? მაგრამ ბ-ნ დეგოთილისათვის ყოველი ისტორიული ფაქტი, საბუთი მის ლოღიკისთვის ისეთივე ამაო მოვლენაა, როგორც დამფთხალი ცხვრისათვის მის ფეხების ბაკუნი!.. ბ-ნ დეგეთელის საპასუხო წერილი ბევრ შენიშვნას კიდევ თხოულობს, მაგრამ, ვინაიდან სიტყვა გამიგრძელდა, თავს ვანებებ. თვით წოვა თუში ბევრი ხანია მაინტერესებს და ბევრი ხანია, რაც ვაკვირდები ამ ერთი მუჭა ხალხის ცხოვრებას. ამის გამო „გარდმოცემის" შინაარსმა დამაინტერესა. გეოგრაფიული ფაქტების საშუალებით მე დავამტკიცებდი, რომ ღლიღვლების სისტემატიური დაცემა ჩალმებზე ზღაპარია, თუ ჩალმებად მივიღებთ თუშეთის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს მთელ თუშეთის ბოლოში და საზღვრავს დიდოეთს და კახეთს.

ვათავებ წერილს, მაგრამ [illegible] სასიამოვნო დასკვნით. მე მესმის და საჭიროებასაც [illegible] აზრთა სხვადა-სხვაობაში და ამ ნიადაგზე მათ მიხლა-მოხლა, შეტაკება-ბრძოლაში არსებობისათვის. მეტსაც ვიტყვი: ყოველი ადამიანი ვალდებულია წინააღუდგეს სხვა ადამიანის მოქმედებას, თუ ეს უკანასკნელი მავნებელია საზოგადოებისათვის, ოღონდ-კი საბუთით ხელში. ბ-ნი დეგოთელი კი ამის ნაცვლად ჩემს პიროვნებას შეეხო. ჩემსა და ბ-ნ დეგოთელს შორის ასტყდა დავა თუშების ცხოვრების შესახებ. აქ რა შუაშია ან ჩემი პიროვნება, ან თვით ბ-ნ დეგოთელისა?

აი ბ-ნ დეგოთელის წერილის ის ადგილი, რომელშიაც იგი აფასებს ჩემ მოქმედებას ჩვენ შორის პოლემიკაში. „დასასრულ,—მასწავლის ბ-ნი დეგოთელი,—უნდა მოგახსენო, ბ. ქადაგიძე, რომ ჩემის აზრით, თქვენ ისე ჩემ წერილში მოყვანილმა ყალბმა ცნობებმა არ გაგაჯავრეს, როგორც წერილის **უდროობამ** (ხაზი ჩემია დ. ქ.), მეტადრე ეხლა, **როდესაც გაცხარებული ბრძოლა არის წოვსა და ჩალმა თუშების შორის მამულების გაყიდვის გამო** (ხაზი ჩემია დ. ქ.). და ცოტა ქვევით უფრო მამხელს, ამბობს-რა: ...„რომ მე პირადად თუში არა ვარ და არც შეიძლება **თქვენსავით რაიმე განზრახი მოსაზრება მქონდეს** (ხაზი ჩემია დ. ქ.), როდესაც თუშების შესახებ ვწერდით"...

აქედან აშკარად დაისკვნება შემდეგი აზრი: ვითომ მე ვცდილობდე დროებით არა დაიწეროს რა თუშების თემთა ვინაობაზე, მათ შორის დამოკიდებულებაზე ალვანის შესახებ. რატომ? იმიტომ რომ ალვანის გაყოფა მოხდეს საიდუმლოდ, და მე კი მღვრიე წყალში ვითევზაო: რაც შეიძლება მეტი მამული წავგლიჯო სამ თემს და დაუსაკუთრო წოვა თუშებს,—ასე გულთმისნობს ჩემზე ბ-ნი დეგოთელი. რა პოზიცია მიჭირავს ალვანის გაყოფის საკითხში, ამაზე მეტად მიმაჩნია ლაპარაკი; ეს ოთხივე თემმა კარგად იცის. ხოლო არ შემიძლიან არ მივმართო ბ-ნ დეგოთელს შემდეგი სიტყვებით: რა უფლებით ეხებით "ჩემს ზნეობას, რა საბუთი გაქვთ, რომ ასე უკადრისად, მოურიდებლად ხელებს აფათურებთ ჩემ გულში, გულთმისნურად ამოიკითხავთ ჩემი გულის და სულის მისწრაფებას?

დ. ქადაგიძე.

*) იხილე „სახალხო გაზეთი" № 560.

სუნიათზენის მოგონებანი

სუნიათზენი, როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, ჩინეთის განთქმული რევოლუციონერია. როდესაც საწადელს მიაღწია, ნატვრა აუსრულდა თავის სამშობლო განთავისუფლებული ნახა, საჩქაროდ სამშობლოსაკენ მიაშურა. მადლიერმა

გრძნობა მასში სადღაც ჩამალულა. მაგრამ თითონ კი ნამდვილ ქრისტიანად მიაჩნია თავი, და რომ ჰკითხო, ღმერთი გრწამს, თუ არაო, ბრაზმორეული თოფს გესვრით, ან ხანჯლით გამოგეკიდება. ვახთა თავისიანებსაც არ ინდობს, ყველას ატყუებს; დიაცურ, ქართველთათვის ძველად სამარცხვინო, მაჭანკლობას ეწევა იმისთვის, რომ თავისი გარყვნილი, მაგრამ ძლიერი ბატონი, მოიმადლიეროს.

სამარცხვინოთ ჩვენში ვახთასთანა ტიპი გავრცელებულია. ის ნამუსახდილი, ჩაბალახ ჩამოხდილი, ულვაშებ შერცხვენილი, ხმალ-ხანჯალ გადამტვრეული გადედაკაცებული ახალი დროის ქართველია.

ვახთებს თქვენ დღეს ყველგან შეხვდებით, ყველა კლასებში და წრეებში. შინაარსი მათის მოქმედებისა მრავალგვარია, ხასიათი კი მათის ზნეობრივი საქციელისა ყველგან ერთია: უარისყოფა ადამიანურის თავმოყვარეობისა, გაყიდვა ფულზე თვისის სულისა და სინიდისისა და სხვის, სამარცხვინო მონობა. ვახთები ჩვენში „მუნდირებშიაც" არიან გამოწკეპილნი და ამაყად დაიარებიან; ვახთები მოღვაწეობენ კიდეც საზოგადო ასპარეზზე; ვახთები მწერლობენ, ხალხის მოძღვრობას და მასწავლებლობას ჩემულობენ; ვახთები ექიმობენ, ვექილობენ და სხვა და სხვა. ინტელიგენტურ წრიდგან გამოსული ვახთები სულიერი მაჭანკლებია, თვისი მოძმეების და ერის მაცდურად, მოხერხებულად გამრყვნელებია. სწორედ მათის მოქმედების ნაყოფია ის, რომ საქართველოს, როგორც საბრალო ეკას, „თავის ნაცვლად, მხოლოდ, ორი თვალი, დაკრეჭილი კბილები და ნიკაპი დარჩენია; პირის და ცხვირის მაგიერ რაღაც უშველებელი ორმო აქვს, საიდამაც შესაზარი სუნი ამოსდის".

ვახთა ცხოვრების სინამდვილედან ამოგლეჯილი ნამდვილი, მაგრამ საზიზღარი, ტიპი. დუტუ მეგრელმა მიგვითითა ჩვენ ამ სამარცხვინო ტიპზე, რადგანაც მამულისშვილური გულით იგრძნო მისი მავნებლობა და პარაზიტობა. ახლა კი ჩვენი საქმეა ყველგან და ყოველთვის სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ისეთი გამრყვნელი მაჭანკლები, რომლებიც ბილწამენ მთელი ერის სულიერს სიწმინდეს!

განა **„საბრალონი"-ში** გამოყვანილნი ქართველნი მებატონენიც (მომეტებულად ქალბატონი) ნამდვილი ახალ დროის სულიერად გადაგვარებულნი, რეალურ მდგომარეობის მონა-მორჩილნი, ზნეობით მახინჯნი მაჭანკალნი არ არიან?! რა უნდა იყოს ივან პეტროვიჩის და მათ შორის ისეთი რამ საერთო, რომ ეს უცხო ადამიანი ქართველ თავადის საუკეთესო მეგობრად სთვლის თავს? რამ დააახლოვა ისინი? მათ შორის არაფერი ზნეობრივი, მით უმეტეს რამე იდეიური კავშირი არ უნდა არსებობდეს და არც არსებობს. ივან პეტროვიჩის მრწამსი და მისსია სულ სხვა არის, ჩვენი თავადების სულ სხვა უნდა იყოს. უეჭველია მათ აერთებს და აკავშირებს მხოლოდ ერთგვარი ფსიხოლოგიური განცდა, რომელიც შჯარდება ბატონის და ბრწყინვალე მონის შორის: უკანასკნელი რაღაცას გამოელის თვისი უხეში, მაგრამ მდგომარეობით ძლიერი, ბატონისაგან.

კარგად რომ ჩაუკვირდეთ, ასეთი სულიერი მონობა ბრწყინვალე მონას თითქმის არაფერს მატებს, მაგრამ მონა მაინც მონობს, ძალის და ძლიერების წარმომადგენელს ემორჩილება, ვინაიდან თვით მონობის პროცესი მას აკმაყოფილებს და რაღაც გამოურკვეველ იმედებს უღვიძებს გულში.

მართლაც, რათ უნდა დასჭირდეს ჩვენს შეძლებულს ბრწყინვალე თავადს ივან პეტროვიჩი? დეე, მას ეჭიროს რამე დიდი ადგილი ქალაქის ადმინისტრაციაში; დეე, მას ძალა ჰქონდეს სასამართლოში ან სხვა რამე დაწესებულებაში. თუ ჩვენი თავადი სოფლად სცხოვრობს და თვის მამულს გონივრულად უვლის; თუ ის ეკონომიურად უზრუნველყოფილია და ხალხშიაც ზნეობრივი გავლენა აქვს, მაშინ მას საკეთილო საქმისთვის არ დასჭირდება ივან პეტროვიჩები. და თუ ის, ამისდა მიუხედავად, მაინც მეგობრობს ივან პეტროვიჩებს, მაშ ეტყობა, რომ მას იმედი აქვს პეტროვიჩებისა ცუდს საქმეების მოწყობის დროს: მაგალითად, როდესაც სუსტი მემამულეების და გლეხების დაჩაგვრას მოიწადინებს.

დიახ, სწორედ ასეთი საქმეებისთვის მეგობრობენ ჩვენში ივან პეტროვიჩებს; ამისათვის უწევენ დამამცირებელ მაჭანკლობას.

სხვათა შორის, ჩვენს „ქალბატონს" დიდი წილი უდევს ეკას გაყიდვაში და საცოდავად დაკარგვაში. ბრწყინვალე „ქალბატონს" მონურმა გრძნობამ და ეგოისტურმა სულის სწრაფვამ დაავიწყა მირონობა, რომელსაც ძველად და ახლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხში. მირონი წმინდაა; მირონის ძალით დამყარებული სულიერი ნათესაობა, ხალხის რწმენით, თორმეტ მოდგმამდის არ კარგავს ძალას; მირონის ღალატი ნიშანია ადამიანის სულიერად დაცემისა, ასე ფიქრობს ხალხი, ასეთია მისი ღრმა რწმენა. სულ სხვანაირად ფიქრობს და გრძნობს ჩვენი „ქალბატონი". ის აუშფოთებლად, გულგრილად ჰყიდის, გახრწნილების გზაზე აყენებს თვის ნათლულს და აღზრდილს ეკას,- ამ სულიერად უმანკო და ფიზიკურად მშვენიერს არსებას. კიდევ ჰო, რომ „ქალბატონი" ივან პეტროვიჩი არ იცნობდეს, მისი სურვილის სიწმინდეში და უმანკოებაში დარწმუნებული იყოს. არა, მას სუყველაფერი მშვენიერად ესმის ივან პეტროვიჩსაც კარგად იცნობს. ვინ იცის, წინედაც რამდენი „ასული კოლხიდისა" მიუყიდნია მას ივან პეტროვიჩებისთვის ბატონყმობის გადავარდნამდი?! აკი თვით ივან პეტროვიჩი სიამოვნებით და ცინიკურად იგონებს იმ ნეტარ დროს, როდესაც ადამიანის სულის და დახორცის ყიდვა, შეიძლებოდა ფულით. „რა უთხრა იმას, ვინც ბატონყმობა მოსპო! ახლა რომ ბატონყმობა „იყოს რა მიჭირს? მიეცი ამდენი და ამდენი, და ის, ვინც გინდა, შენია (გვ. 45.)

რომ ბინძური წადილი აუსრულოს თვის სტუმარს, ჩვენი „ქალბატონი" თვალთმაქცურს და ცბიერს შთაგონებას მიჰმართავს, რადგანაც ძალადობის დრო გასულია. აი როგორ აგვიწერს ავტორი „ქალბატონის" მოხერხებულ ბასს ეკასთან:... „ქალბატონი" რაღაც გაცხარებით ეუბნებოდა ეკას, რომელიც იმის ფეხთით იჯდა. ეკას ჯერ გაუგებრობა და უკმაყოფილება დაეტყო, მაგრამ, რამდენიც ხანი გადიოდა და ქალბატონიც ხელების ქნევით უმტკიცებდა თავის ნალაპარაკევს ეკას სახე თანდათან ეცვლებოდა და ბოლოს სულ გაუბრწყინდა. ეტყობოდა, სჯეროდა, რასაც ეუბნებოდნენ; ეტყობოდა რომ ეკა გაიტაცა იმ მშვენიერებამ, სხვა და სხვა ფერად დახატულმა სურათმა, რომელიც თვალწინ წარმოუდგინეს; ეტყობოდა, ნორჩი, მგრძნობიარე, მიმზიდველი გული მოჰხიბლა იმ ბედნიერებამ, რომელიც „ქალბატონის" სიტყვებით მოელოდა; ეტყობოდა, რომ ეკას ჩაეჭდო „ქალბატონის" რჩევა და სხვა და სხვა ნატვრით სავსე გონებამ მართლა ყოველი იმისი ტოლისთვის მიუწდომელი ნეტარება დაუსახა თვალწინ" (გვ 18)

აი რანაირი საქმის მოსაწყობად ხარჯავს ენერგიას და მჭერმეტყველებას ჩვენი „ქალბატონი"! როგორც გამოცდილი მსახიობი, ის ოსტატურად ასრულებს თვის ყალბს და სამარცხვინო როლს; უსირცხვილოდ სარგებლობს ნათლია-მირონობით.

მე XIX საუკუნის უკულმართმა ცხოვრებამ აი რანაირი ქალი ამოატივტივა ჩვენში! აი რანაირი მაჭანკლებით შეიცვალნენ ჩვენი სათაყვანო, სასიქადულო „სათნო" სოფიოები, ქეთევანები, შუშანიკები?!

დ. მეგრელის „ქალბატონი" ცხოვრების სინამდვილედგანაა ამოღებული. ის შემკრებელობითი ტიპია. ჩვენებური თანამედროვე დედა, რომელიც უხატავს შვილს ტკბილად და მომხიბვლელად ცხოვრებას და ურჩევს მონა-მორჩილი იყოს გაბატონებულ მდგომარეობისა, განა იგივე დ. მეგრელის „ქალბატონი" არ არის, რომელიც მონურის გრძნობით გაჟღენთილი და ეგოისტურ ანგარიშით გატაცებული ჰყიდის ივან პეტროვიჩზე სიწმინდეს და ადამიანობას შვილის და მომავალი მოქალაქის?!

ჩვენებური თანამედროვე სასულიერო პირი, რომელიც ჰლალატობს თვის წმინდა მოვალეობას, რომელსაც დავიწყნია საშვილისშვილოდ მამა-პაპათაგან გადმოცემული პრინციპები და მონაბერ მისწრაფება და ყურმოჭრილ აღმსარებელი და მომხრე გამხდარა, განა იგივე მაჭანკალა „ქალბატონი" არ არის, რომელმაც ივან პეტროვიჩს თვისი სულიერი შვილი—ნათლული შვილი—ნათლული ეკა ხელში ჩაუგდო?!

ჩვენი თანამედროვე ინტელიგენცია, რომელმაც დაიმიხინჯა სული და გული მშობლიურის უარისყოფით და სხვისის, უცხოსი შინაურად შეთვისებით; რომელმაც დაივიწყა ისტორიული ტრადიციები, აურჰყო ადამიანური, თავმოყვარეობა, დაიმახინჯა ოჯახი მონურის წამბაძველობით და ვიღაცის წინაშე მონურის შიშით,—ეს ინტელიგენცია ხომ იგივე დ. მეგრელის „ქალბატონია", რომელსაც ძველებური ქართული ოჯახური ტრადიციები უარჰყო და შელახა ეკას გაყიდვით?!

დიახ, დ. მეგრელის „ქალბატონი" სიმპტომატიური ტიპია. ის მაჩვენებელია ქართველთა ზნეობით და გრძნობით გაღატაკებისა და დაცემისა. მხოლოდ ეს ტიპი დ. მეგრელმა გაკვრით გვიჩვენა და მთელი თვისი სიგრძე-სიგანით ვერ დაგვიხატა.

ჩვენში სულიერი მაჭანკლობა ისეა გავრცელებული, რომ საჭიროა მისი ღრმად ანალიზი და ფართედ გამოაშკარავება. სრულად, ყოველმხრივ და ცოცხლად დახატული ჩვენებური სულიერ მაჭანკლების სახეში ბევრი ჩვენთაგანი იცნობს თავის თავს, და თუ მთლად არ გაფუჭებულა, თვის ნაკლულევანებას და გახრწნას დაინახავს და გასწორებას მოისურვებს. ესეც დიდი საქმეა!

ივ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

ერმა იგი პრეზიდენტად აირჩია, მაგრამ პირადობა ქვეყანას ანაცვალა განთქმულმა მამულიშვილმა და პრეზიდენტობა იუანშიკაის დაუთმო, რადგანაც, მისის აზრით, ქვეყნისათვის ეს უფრო სასარგებლო იყო. ეხლა ინგლისის ერთ ჟურნალში სუნიათზენი თავის მოგონებებსა ჰბეჭდავს.

„ახალგაზდობისას პორტუგალელთა ახალშენ-მაკაოში ვიყავი და ექიმობას ვეწეოდი," ასე იწყებს ჩინეთის რევოლუციის ბელადი თავის მემუარებსა.

პოლიტიკა სრულიად არ მეინტერესებოდა, ვერიდებოდი კიდეცაო, —განაგრძობს იგი.—მაგრამ ერთხელ მაკაოში ჩემთან ახალგაზდა ჩინელი ვაჭარი ჩამოვიდა და შემატყობინა—იაპონელები პეკინს მისდგომიან და აღებას უპირებენო. მე არა ვიცოდი რა, თუ რამ გამოიწვია იაპონელთა შემოსევა, ამიტომ ძალიან გამიკვირდა ეს ამბავი იმ საღამოსვე ახალგაზდა ჩინელთა კავშირის წევრად ჩავეწერეო.

ასე დაწყებულა სუნიათზენის საპოლიტიკო მოღვაწეობა. 1895 სუნიათზენს მონაწილეობა მიუღია კანტონელთა აჯანყებაში და დამარცხების შემდეგ ჩინეთიდან გაქცეულა. ყოფილა იაპონიაშიაც, სადაც თურმე იაპონელად მოჰქონდა თავი: თმა გაეკრიჭა, მათებურედ გამოწყობილიყო და ამნაირად თავი დაეხსნა ჩინელთა მაძებარ პოლიციის აგენტებისაგან. იაპონიიდან სუნიათზენი წასულა ევროპასა და ამერიკაში, ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი სუნიათზენის ლონდონში დაპატიმრების და ჩინელთა მისიაში დამწყდევის ამბავი. სუნიათზენი ადასტურებს ამ ამბავს, იგი თურმე ლორდ სოლსბერის დაუხსნია. ჩინელთა ელჩისათვის სოლსბერს მოუთხოვნია—ორი საათის განმავლობაში გაანთავისუფლეთ დაპატიმრებულიო. ბოქსიორთა აჯანყების დროს სუნიათზენი მოძმეებს ამოსდგომია გვერდში. ერთხელ ახალგაზდა ჩინელთა კრებაზე სუნიათზენს ერთი პატარა ტანის ადამიანი გაუცვნია. ეს კაცი ეხლა სუნიათზენის ვეზირობას ეწეოდა მისი სახელი-გენერალი ლია.

ძალიან საინტერესოა ჩინელთა ზნე-ჩვეულების წარმოსადგენად ერთი ამბავი, რომელიც სუნიათზენს ნანკინში შემთხვევია. „გემის წასვლის რამდენისამე დღის წინად, ჩემ კაიუტაში ვიღაც უცხობი შემოვიდა, დამაცქერდა და შემდეგ მითხრა: „სუნიათზენო! შემიბრალე, ღარიბი ვარ, ცოლშვილი მშიერი მყავს". კარგი, გავიგე რაცა გსურს, მივუგე მე. შენ ალბად ჩემი გაცემა და 2 ათასი მანეთის ჯილდოს მიღება გინდა, არა?

— უფრო მეტისა, ძვირფასო სუნიათზენო! მე მთლად 10 ათასი მანეთის მიღება მწადიან. დედოფალი ცხისი იმდენს მომცემს შენს თავში, რამდენსაც მოვითხოვ. მაგრამ, აბა, კარგად მოიფიქრე: დედოფალი თავს მოგკვეთს და ძაღლებს გადაუგდებს. განა არა სჯობია, თავის ნებით დაჰნებდე? მაგით მეც გამაბედნიერებ, ჩემს ოჯახსაცა. სამარადისოდ შენი მლოცველნი ვიქნებით.

სუნიათზენს უპასუხნია: შენ მართალს ამბობ, ჩემი თავი ბევრად არა ღირებულა. მაგრამ მანდარინები შენ არაფერს გარგუნებენ, ცოლშვილიც მშიერი დაგრჩება და ისევე ღარიბად იქნები, რანაირიც ჩვენში აუარებელი ხალხია. აბა, ყური დამიგდე. ჩემი სული, გული და ხორცი ჩინეთის ერსა და ყოველ ჩინელს ეკუთვნის. მე მისი ნაწილი ვარ. შენ რო 10 ათასად გამყიდო, დედოფალს შენს ნაწილსაც მიჰყიდი, თუ ძალიანა გსურს ამისი ჩადენა, წადი, შეატყობინე მთავრობას ჩემი ბინა. ნუ გეშინიან, არსად გავიქცევი. უცნობი ფეხქვეშ ჩამივარდაო,—განაგრძობს სუნიათზენი-და შენდობა-მიტევებასა მთხოვდა. მეორე დღეს იმ კაცს თურმე თავი ჩამოეღრჩო.

სუნიათზენის თავის მოტანს თან და თან მეტს ჯილდოს ჰპირდებოდნენ. ბოლოს მილიონ ნახევრამდე ასულა მისი ფასი. მიუხედავად ამისა, მთავრობა თვითონ რევოლუციონერერთა ბელადთან მოლაპარაკებასაც არ მოჰრიდებია ჯერ კიდევ რევოლუციის წინა წლებში იუანშიკაის ერთი კაცი გაუგზავნია მასთან მოსალაპარაკებლად. „მეგონა ხაფანგია, ჩვეულებრივი ხრიკი მეთქი, ამბობს სუნიათზენი, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი იუანშიკაის გულწრფელობაზე. იმას ჰსურდა ჩემთან ერთად ემოღვაწნა ერის სასარგებლოდაო. მიუხედავად ამისა სუნიათზენს მოციქულისათვის უთქვამს: იუნშიკაის გარდაეცი, რომ შემიძლიან მოცდა.

გაფიცვები.

დეპეშები

ლონდონი. 27 მარტს თითქმის ყველა ქვა-ნახშირის მაღაროებში დაიწყეს მუშაობა. სამხრეთ უელისში მემანქანენი გაფიცულან, მაგრამ მათ მაგიერობას მუშები ეწევიან. მაღაროებში რამდენიმე ათასი მუშა ჩაუშვეს. ლანკარშირში მუშების $^2/_3$ მუშაობის დაწყებას არ აპირებს, ვიდრე მათთვისაც ხელფასის მინიმუმს არ დააწესებენ. თითქმის ყველგან ხელფასის მინიმუმის რაოდენობის გამოსარკვევად მზადება დაუწყია. რადგან ვიგანში გაფიცულნი მტრულად ეკიდებიან მუშაობის მსურველთა, იქითკენ მხედართა პოლკი გაჰგზავნეს.

ბიურს ახლო, მაღარო ჩამოწვა და 4 მუშა დაიტანა, რამდენიმე დაუშავებია.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

მუკდენი. მუკდენისა და გირინის დეპუტატების სია გამოაცხადეს. დეპუტატები პეკინის სათათბირო პალატაში იქნებიან. პალატას 8 აპრილს გახსნიან.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

ალექსანდრია. აქეთკენ გამოჩნდა იტალიელთა კრეისერი და რუმინიის გემი გაჩხრიკა, თუმცა ვერაფერი აღმოაჩინა.

რომი. ზუარასთან ტრანსპორტის მცველმა გემებმა ალღუმი მოახდინეს 27 მარტს. გემები ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, ოსმალებმა თავის პოზიციებს მიაშურეს. გემებმა ზარბაზანი დაუშინეს და დიდად დააზარალეს ოსმალნი. რიჟრაჟზე იტალიელებმა ლიბიის ნაპირი დაიჭირეს, არ დაზარალებულან და ჯარის გადმოსხმას განაგრძობენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

29 მარტი.

მანჯურიის ანექსია.

ტოკიო. პარლამენტის წევრი პროფესორი ტომძუ ჟურნალ „მინიქონში" ამტკიცებს: ეხლა მარჯვე დროა იაპონიამ მანჯურიის სამხრეთი ნაწილი დაიჭიროსო.

ბულგარეთი.

სოფია. ბულგარეთის საზოგადოებაში დიდი აურ-ზაური გამოიწვია იმ ხმამ, ვითომ ყუმბარები, რომელიც სომხის რევოლუციონერებს წაართვეს, ბულგარეთში ყოფილიყოს დამზადებული. „ვოლიაში" დაბეჭდილია მოწინავე წერილი „დაშნაკცაკანთა" მოღვაწეობის გამო. თუ ეს ხმა პორტას განგებ არ გაუვრცელებია, მართლაც დამაფიქრებელია ეს ამბავი. ბულგარეთი სიხარულით დაჰხვდება საპოლიტიკო საქმისათვის სამშობლოდან გაძევებულთ, მაგრამ ტერორისტების ლაბორატორიად კი ნუ გადააქცევენ ჩვენს ქვეყანასაო.

ხორვატიის ვითარება.

ზაგრები. დალმაციის დეპუტატებმა ხორვატელთა ოპოზიციონერებს შეატყობინეს, ჩვენც მოგეხმარებით ხორვატიის საკონსტიტუციო გარანტიათა გაუქმების წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებაშიო და ობსტრუქციასაც მოვახდენთო. ხორვატიასა და სლავენიაში მშვიდობიანობაა. ჰუნგრეთის საქონელზე ბოიკოტის საქმე უინცენდენტოდ მიდის. გაზეთების გამოსვლამ დაიგვიანა. ოთხმა გაზეთმა ვეღარ მოახერხა გამოსვლა, რადგან 5000 კრონის შეტანა ვერ შესძლეს. ზაგრების ჟურნალისტთა კავშირმა ავსტრიისა, ჰუნგრეთისა და სხვა სახელმწიფოთა პრესას სთხოვა, დაგვეხმარეთ და ხორვატიის პრესის სამწუხარო მდგომარეობა გამოაბრუნეთო.

კრაკოვი. სამხრეთის სლავიანთა კრაკოვის საზოგადოებამ ხორვატელებს ძმური სალამი უძღვნა და მისი ჩაგვრის გამო პროტესტი განაცხადა.

წყალდიდობა.

მემფისი. ბევრი ქალაქი წყალდიდობამ დიდად დააზარალა. ზარალი თითქმის მილიონს დოლარს უდრის.

საფრანგეთის ბიუჯეტი.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი მოიწონა. ხარჯი ნავარაუდევია 4665 მილიონი, შემოსავალი 4504 მილიონი. დეფიციტს 1911 წლის მონარჩენი ფული დაჰფარავს.

რუსეთი

ფულის მიცემა.

კიევი. მსახიობს ბერგლერს, რომელიც სტოლიპინის მოკვლის დროს თეატრში დასჭრეს, ერთდროულად 10 ათასი მანეთი მისცეს.

თეატრი და ხელოვნება

დღეს სახალხო სახლში გაიმართება ქართული წარმოდგენა: სდგავენ გედევანიშვილის „გამცემს" და ა. ცაგარლის კომედ. „მათიკო"-ს მესამე მოქმედებას. ადგილების ფასი 50 კ-დან 5 კ-დე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. წარმოდგენაზე **დაესწრება ავტორი ბ. გედევანიშვილი.** წარმოდგენაზე დასწრების სურვილი განაცხადა აგრეთვე მოსკოვის **სამხატვრო თეატრის რეჟისორმა ბ. კ. მარჯანიშვილმა,** რომელსაც აინტერესებს სახალხო თეატრის რეჟისორის ბ. წუწუნავას მუშაობის ნაყოფი.

ოსური წარმოდგენა. შაბათს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ოსურ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ". დასაწყისი საღ. 8 საათ., ფასები სახალხოა.

ზუბალაშვილის სახალხო სახლი.

27 მარტს მსხ. ვ. მატარაძის მეთაურობით და შ. საფაროვის გამგეობით გაიმართა სალიტერატურო დილა.

ამ ბოლო დროს ასეთი დილების რიცხვი მეტად გამრავლდა ტფილისში, მხოლოდ შინაარსით თუ ყოველთვის ასეთი მშრალია, რასაკვირველია საზოგადოებას ვეღარ მიიზიდავს.

ამ დილას ხალხი ძლიერ ნაკლებად დაესწრო.

ბ-ნ მ. წულუკიძემ წაიკითხა ლექცია ალ. შანშიაშვილის „შვების თავადზე"; ბ-მა წულუკიძემ ჯერ პატარა წინასიტყვაობა უძღვნა საზოგადოდ ლექტორის სიფხიზლეს, როცა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს არჩევს, მერე საერთოთ შეეხო ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს და ბოლოს გადავიდა ალ. შანშიაშვილზე და მის შვების თავადზე. ლექცია მეტად გრძელი გამოდგა, საათზე მეტი კითხულობდა. ამასთან შესაფერი მსმენელთა აუდიტორია არა ჰყავდა, ორიოდეს გარდა, რისთვისაც მისი ლექცია ყველას მოჰბეზრდა და ზოგმა ხომ ერთი ჰირიც გამოიძინა.

არა უშავდა რა ვეფხვის ტყაოსნიდამ ნაჩვენებ ბუნდოვან სურათებს,

ეს დილა გამოაცოცხლეს ისევ ჩვენმა ახალ-გაზრდა მწერლებმა ბ-ნთ ქუჩიშვილმა, აბაშელმა, მჭედლიშვილმა, და სხვათა; რომელთაც გრძნობიერად წაიკითხეს თავ-თავიანთი ნაწარმოებნი. პირველმა ისე სასოწარკვეთილად გადმოგვცა თავისი ლექსი, რომ მასთან ერთად დამსწრეთაც გული აუყუჩდათ, ხოლო თვით ავტორს ცრემლებმა დასძლია და იძულებული იყო ლექსის კითხვა შეეწყვიტა.

როგორც აქა სჩვევიათ თურმე ბევრი აფიშაში გამოცხადებული პირი სცენაზე არ გამოსულა.

დავიწყებული.

ჩვენი ფოსტა

ბელაგორი მ. დეკ—ეს. „კოლხიდაში" მოთავსებულ წერილის პასუხი „კოლხიდაშივე" უნდა მოათავსოთ. „სახალხო გაზეთის" მკითხველისათვის თქვენი პასუხი გაუგებარი იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. [illegible] წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—II კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 18 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატორებ. № 9/6ხ, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათუმიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზეპრად დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, ს4, ელისაბედის ქუჩა 56 და მაღაკნის მოედანზე.

განცხადებანი

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჯარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთილდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—17)

სილამაზე
უმაღლეს
ხარისხამდე!

№ 4711
ვარდის ფერი ბროლის
=საპონი=
კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.
ფერდ. მიულგენსი.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რიგა.
დაარსებული 1792 წ.

№4711
F. MÜLHENS

ერთი ნაჭერი 2 კ.
ყველგან იშოვება.
Метцл. 28838. (9.1055.5).

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ.
(თ. 1646.30) მიკირტუმოვი.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ბლაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონით და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606"-ით.
(100—1615—44)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606"—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.46)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„გიორგის შრომა"
სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან. დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა, **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.**
(თ.—1145—16

იმერული შამპანიური
ღვინოები,
ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კოლხიდა" და „თამარა"
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.
ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენაზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (17.—6.5)

გამოვიდა და იყიდება
თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში) და წ.-კ. საზოგადოებისა და ი. მერკვილაძის წიგნის მაღაზიებში (ტფილისში) **კიტა აბაშიძის** ახლად გამოცემული [illegible]: „ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ".
ტომ. I, ფასი 70 კაპ. (10—1162—7)

ყოველ-დღე
მოგვდის:
ახალ-ახალი [illegible] 2 მ. 60 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—26)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій прос. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში.**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოჭაძესთან და **ერევანში** კ. ოკუშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**
(წ.—627—49 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოანის ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა".